# თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**www.tesau.edu.ge**

ჩემო მეგობარო!

მალე ახალ ცხოვრებას დაიწყებ. წინ ელი გზაა_რთული, საინტერესო და წი-აღმდეგობებით სავსე. ცოდნა იარაღ-ა, რომლითაც ცხოვრების სირთულეებს უმკლავდები. განათლებამ შენს გონებაში და მოიკიდოს ფეხი. მხოლოდ ასე გახ-ები ძლიერი.

აკობ გოგებაშვილის სახელობის თელა-ს სახელმწიფო უნივერსიტეტი მზად არის ხდეს შენი მეგზური სასურველი სპეცია-ლობის დაუფლების საინტერესო გზაზე.

ცოდნა სინათლეა''_ გაუყევით ამ სინათ-ეს ერთად და დავამტკიცოთ, რომ იმარჯვებ.

ელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი გე-ლოდება შენ!

აკობ გოგებაშვილის სახელობის თელა-სახელმწიფო უნივერსიტეტის ქტორი

ირმა შიოშვილი





ჩემო ახალგაზრდა მეგობარო!

მოვა დრო და ასეთ წერილებს შენი ხელ-მოწერა ექნება.

შენი გვარი და სახელი ყველა კარს შეაღებს, ცოდნა უამრავ წინააღმდეგობას გადალახავს. მანამდე კი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევს_განათლება უნდა მიიღო.

კახეთში უმაღლესი განათლების ერთადერთი სავანე _იყალთოს აკადემიის და თელავის საფილოსოფოსო სკოლის ღირსეული მემ-კვიდრე_თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი მეგულება.

იქ შენი თანატოლები ცოდნას იღებენ, ჩვენი სამშობლოს პატრიოტებად იზრდებიან და ღირსეულ მოქალაქეებად ყალიბდებიან. უნივერსიტეტის კედლებში იმდენი სინათლეა, ვიცი, რომ შენც მოიხიბლები.

შენი ქვეყნის სიყვარულით მიიღე განათლება და გაიზარდე შენს მიზნებთან ერთად_ნამდ-ვილ თავისუფლებას მხოლოდ ის მოგანიჭებს. ცოდნა უძლეველი ფარია, მისი წყალობით ბევრად უფრო გამბედავი და სრულყოფილი გახდები, ვიდრე ახლა ხარ.

მე კი, შენი სწორი არჩევანით, უფრო დიდ პასუხისმგებლობას დავაკისრებ_შეუცდომლად ვემსახურო ქვეყანას, რომელიც შემდგომში შენ და შენს მეგობრებს უნდა ჩაგაბაროთ.

კახეთის მხარეში სახელმწიფო - რწმუნებული გუბერნატორი

ირაკლი ქადაგიშვილი


ნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობაში ტუდენტებიც მონაწილეობენ გვ.2

საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები უნივერსიტეტში გვ.3

ნივერსიტეტის პროფესორი თელავის საპატიო ქალაქეა გვ.2

უნივერსიტეტის კულტურული და სპორტული ცხოვრება გვ.3

საგანმანათლებლო პროგრამები გვ.4

# უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობაში სტუდენტებიც მონაწილეობენ



საუნივერსიტეტო განათლების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაა. დღევანდელი გამოწვევების ფონზე, უნივერსიტეტს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე, სტუდენტი_მკვლევარი და პროფესორი-მეცნიერი სჭირდება. სტუდენტთა ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაშიუაღრესადმნიშვნელოვანია.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მასშტაბებს ყოველწლიურად ზრდის. 2016-2017 წლებში მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში, ჩატარდა სამეცნიერო კონფერენციები, ტრენინგები და მასტერკლასები. თელავმა უმასპინძლა სამეცნიერო პიკნიკს, რომელიც ღია ცის ქვეშ, სახალისო მეცნიერების ჩვენებას ითვალისწინებდა. სამეცნიერო მუშაობის წარმატებისა და საუკეთესო შედეგისათვის სამეცნიერო ფორუმების ორგანიზება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ მხრივ, უნივერსიტეტმა ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. გარდა შიდასაუნივერსიტეტო და დარგობრივი სამეცნიერო კონფერენციებისა, 2016-2017წლებში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებიც. ეს ყველაფერი ახალგაზრდებში მეცნიერებისადმი მოტივაციის ამაღლებას უწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები წარმატებით მონაწილეობენ საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და უცხოეთში გამართულ საერთაშორისო ფორუმებში, ბეჭდავენ სტატიებსა და მონოგრაფიებს, კითხულობენ საჯარო ლექციებს, არიან საერთაშორისო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრები. პროფესორებისა და სტუდენტებისათვის დიდ მხარდაჭერად და ხელშეწყობად მიგვაჩნია ყოველწლიურად, სრულიად უსასყიდლოდ, უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებულის გამოცემა. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ჩართულნი არიან სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებაში. სამეცნიერო საქმიანობის წარმატების განმსაზღვრელია ასევე, უნივერსიტეტში კავკასიის კვლევების ცენტრისა და აგრარული მიმართულებით კვლევითი ლაბორატორიის შექმნა, საუნივერსიტეტო საცდელი ნაკვეთის ფუნქციონირება და ვენახის გაშენება კვლევების ჩატარების მიზნით.

თელავისსახელმწიფოუნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო ფონდის გაზრდა, სტუდენტების ჩართულობით მცირებიუჯეტიანი და მოკლევადიანი ინოვაციური სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების ხელშეწყობა, ქართველი თუ უცხოელი მეცნიერების მოწვევა და ურთიერთგაცვლის გააქტიურება, ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან, წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან ურთიერთობის დამყარების კიდევ უფრო მეტად გაღრმავება იგეგმება.



# უნივერსიტეტის პროფესორი თელავის საპატიო მოქალაქეა






2017 წლის 7 ნოემბერს, ერეკლეობის დღესასწაულზე, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს თელავის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

გიული ანდრონიკაშვილმა წარჩინებით დაამთავრა თელავის №1 ქალთა სკოლა და როგორც მედლის მფლობელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე ერთი გამოცდითჩაირიცხა.ქიმიისფაკულტეტისდასრულებისშემდეგ, მან სწავლა ერთ-ერთ პრესტიჟულ, მოსკოვის კარპოვის სახელობის ფიზიკო-ქიმიური ინსტიტუტის ასპირანტურაში გააგრძელა და სადისერტაციო ნაშრომიც იქვე დაიცვა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, გიული ანდრონიკაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქიმიის ფაკულტეტზე მუშაობდა და ერთ-ერთი ცნობილი პედაგოგი იყო. მან ჯავახიშვილის უნივერსიტეტში, ქიმიაში სრულიად ახალი მიმართულება, ნაერთთა სპექტროსკოპული კვლევის მეთოდები შემოიტანა. არის ათეულობით სამეცნიერო შრომისა და სტატიის ავტორი. 1999 წლიდან, როგორც ქიმიის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გიული ანდრონიკაშვილი მოწვეულ პროფესორად მუშაობდა. ივანე ჯვახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას ის ოცდათექვსმეტი წლის განმავლობაში, 2006 წლამდე ეწოდა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობიდან დღემდე, გიული ანდრონიკაშვილი მრავალი სახელმძღვანელოს ავტორია. პირველი წიგნი ,,ქიმიის ამოცანათა კრებული" მან 1997წელს გამოსცა. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობის პერიოდში ათზე მეტი სახელმძღვანელო აქვს შექმნილი, მათ შორის, 2010 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გრიფი მიენიჭა მისი ავტორობით შექმნილ XI-XII კლასების ქიმიის სახელმძღვანელოებს. 2012 წელს გრიფი მიენიჭა მისი ავტორობით გამოცემულ კიდევ ხუთ სახელმძღვანელოს ქიმიაში, რომელიც დღემდე, VII_XI კლასების ჩათვლით გამოიყენება. უშუალოდ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, 2009 წელს, გიული ანდრონიკაშვილს გამოცემული აქვს სახელმძღვანელო ზოგად და არაორგანულ ქიმიაში. 2013-2017 წლებში სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის მას კიდევ ხუთი სახელმძღვანელო აქვს შექმნილი.

გიული ანდრონიკაშვილი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ რა კვალიფიკაციის, ცოდნისა და მორალის ადამიანები ზრდიან თაობებს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უანგაროდ, საქმისა და პროფესიის სიყვარულით ემსახურებიან ახალგაზრდების ღირსეულ მოქალაქეებად და საუკეთესო სპეციალისტებად ჩამოყალიბების რთულ საქმეს.

# საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები უნივერსიტეტში

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერასმუს+ საქართველოს ეროვნული ოფისის მონაცემებით, ევრო-კომისიის მიერ დაფინანსებული პროექტების მიხედვით, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის მეექვსე ადგილს იკავებს.



თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროექტების უმრავლესობა ევრო-კომისიის დაფინანსებით ხორციელდება. ევროპის უნივერსიტეტებში ყოველწლიურად ათობით სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი მიემგზავრება. 2015 წლიდან მათი რიცხვი საგრძნობლად გაზრდილია. დღევანდელი მდგომარეობით, გაცვლითი პროგრამებით, სტუდენტები იატლიაში, თურქეთსა და ავსტრიაში იმყოფებიან.

მთელი რიგი პროექტების განხორციელების შედეგად, უნივერსიტეტში საკმაოდ მნიშვნელოვანი სასწავლო კურსები ამუშავდა. უნივერსიტეტში მოქმედ ორ პროგრამაში ჰემატოლოგიის სასწავლო კურსი დაინერგა. უწყვეტი განათლების კურსი ამუშავდა, ასევე, მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით.

მიმდინარე პროექტების საშუალებით, უნივერსიტეტი არაქართულენოვან აბიტურიენტებსა და სტუდენტებს, მისაღები გამოცდებისთვის გადამზადებასა და ქართულ ენაზე მეცადინეობაში ეხმარება. სხვადასხვა ეროვნული და ეთნიკური წარმომადგენლობის სტუდენტების სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად, სულ მალე ელექტრონული კურსები დაინერგება. ესპანეთის, სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტთან ერთად მიმდინარე პროექტის მიხედვით, მოეწყობა სპეციალური სივრცე, სადაც უნივერსიტეტის სტუდენტები და აკადემიური პერსონალი საკუთარი სამეცნიერო ინტერესების მიხედვით,



კომერციულიმიზნით,პროდუქციასშექმნიან.

მიმდინარე წელს, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ხუთი პროექტიდან ორში, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთის, ავსტრიის, ირლანდიის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით, პარტნიორის სტატუსით ჩაერთვება.

უკვე რამდენიმე წელია, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი მევლანას გაცვლითი პროგრამით, სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს თურქეთის უნივერსიტეტებში სწავლისა და მუშაობის საშუალებას აძლევს. ზემოთ ჩამოთვლილი პროექტების გარდა, სტუდენტებს შეუძლიათ მობილობით ისარგებლონ ჰაილბორნის, იადეს უნივერსიტეტებში(გერმანია), სან პაულოს(ბრაზილია) და სხვა უნივერსიტებში. სტუდენტებს, რომლებსაც მაღალი აკადემიური მოსწრება(GPA ინგლისური ენის შესაბამისი ცოდნა აქვთ( დონე) , უნივერსიტეტი უცხო ენის გაღრმავებაში ეხმარება და მათ ენის შემსწავლელ კურსებს სთავაზობს. ამაჟამად, იატალიის საელჩოსა და უნივერსიტეტის ერთობლივი ძალისხმევით, იტალიური ენის შემსწავლელ კურსს, იტალიელი პედაგოგი უძღვება.

ევროპული განათლების მიღების შესაძლებლობის ასამაღლებლად, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, სხვადასხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან და მეცნიერებთან მუდმივ კავშირში იმყოფება, რაც თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საშუალებას ორმაგად უზრდის. უნივერსიტეტის ინტეგრირება ერთიან ევროპულ სივრცეში , უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა.

# უნივერსიტეტის კულტურული და სპორტული ცხოვრება



იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელ- ვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულ- ურული ცხოვრება სტუდენტების უშუალო ონაწილეობით ვითარდება. უნივერსი- ეტის კულტურის სამსახური შემოქმედებ- თი და სხვა უნარებით დაჯილდოებულ ხალგაზრდებთან მუდმივ კავშირშია.

კულტურული მიმართულება საუნივერ- იტეტო ცხოვრების განსაკუთრებული აწილია. ამის დასტურია, ისიც, რომ ტუდენტებთან ვაჟა-ფშაველას სახელო- ის თელავის სახელმწიფო დრამატული ეატრის მსახიობები, ქორეოგრაფი და ოკალის პედაგოგები მუშაობენ. ისინი ხე- ემძღვანელობენ თეატრალურ სტუდიას, ტუდენტებს ამეცადინებენ მეტყველების ულტურასა და მხატვრულ კითხვაში. არმატებულად მუშაობს უნივერსიტეტთან რსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი, აესტრადო ვოკალის ჯგუფში თითოეული ტუდენტისათვის მზადდება რეპერტუარი. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენ- ური ჯგუფები სხვადასხვა სახის ოლიმპიადებსა ა კონკურსებში აქტიურად მონაწილეობენ.

სსცენაზე აცოცხლებენ თამარ მეფისა და რუსთაველის ეპოქას, კითხულობენ ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მირზა გელოვანის ლექსებს, სწავლობენ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკას, დგამენ სპექტაკლებს, აწყობენ სალონურ საღამოებს.

ამავდროულად, სტუდენტების მონაწილეობით, სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთად იმართება უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა საზეიმო გაცილებები.

კულტურულ ცხოვრებასთან ერთად, უნივერსიტეტში დიდი ყურადღება ეთმობა სპორტსაც. აქტიურად მუშაობენ მინი-ფეხბურთის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ბადმინტონისა და მკლავჭიდის სექციები.

უნივერსიტეტის ნაკრები გუნდები საქართველოს საუნივერსიტეტო შეჯიბრებების ეგიდით გამართულ ყველა ღონისძიებაში მონაწილეობენ და შესაბამის საპრიზო ადგილებსაც იკავებენ. წარმატებული სპორტული ცხოვრების მაგალითად, მხოლოდ 2017 წელიც გამოდგება_სექტემბრიდან დღემდე, უნივერსიტეტის ნაკრებებმა სხვადასხვა სპორტულ სახეობებში, პირველი, მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს და სტუდენტური უნივერსიადის ღირსეული მონაწილეები გახდნენ. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარე კულტურული და სპორტული აქტივობები თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.







# -071 საგანმანათლებლო პროგრამები



სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი
ბაკალავრიატი მაგისტრატურა
1.სამართალმცოდნეობა 1. ბიზნესის ადმინისტრირება
2.საჯარო მმართველობა 2.ეკონომიკა
3.ეკონომიკა
4. ბიზნესის ადმინისტრირება დოქტორანტურა
5. ტურიზმი 1. გამოყენებითი ეკონომიკა
6.ჟურნალისტიკა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ბაკალავრიატი მაგისტრატურა
1.ისტორია 1. ახალი და უახლესი ისტორია
2.ქართული ენა და ლიტერატურა 2.ტიპოლოგიური ლინგვისტიკა და
3.ფრანგული ენა და ლიტერატურა მთარგმნელობითი საქმე
4.გერმანული ენა და ლიტერატურა
5. ინგლისური ენა და ლიტერატურა
ქართულ ენაში მომაზადების საგანმანათლებლო პროგრამა
დოქტორანტურა
1.ქართული ლიტერატურა 3.ახალი და უახლესი ისტორია
2.ტიპოლოგიური ლინგვისტიკა 4. ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა



ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ბაკალავრიატი მაგისტრატურა
1.ბიოლოგია 1.ბიოლოგია(ბიომრავალფეროვნება, მიკრობიოლოგია)
2.ეკოლოგია 2.ეკოლოგია
3.გეოგრაფია 3.მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია
4. მათემატიკა 4.ფუნქციათა თეორია და ფუნქციონალური ანალიზი
5.ფიზიკა
6. ინფორმაციული ტექნოლოგიები
ერთსაფეხურიანი სამედიცინო
დიპლომირებული სტომატოლოგი
რეზიდენტურა-თერაპიული სტომატოლოგი

დოქტორანტურა
1. ბიომრავალფეროვნება
2. ეკოლოგია
3. მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია
4. კომპიუტერული მეცნიერება
5. ფუნქციათა თეორია და ფუნქციონალური ანალიზი



აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ბაკალავრიატი მაგისტრატურა
1. სასურსათო ტექნოლოგია 1. აგროეკოლოგია
2. აგრონომია; 2.კვების პროდუქტების ტექნოლოგიები
3. სატყეო საქმე
დოქტორანტურა
1.ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია



განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
ბაკალავრიატი მაგისტრატურა
1.დაწყებითი განათლება 1.საგნის სწავლების მთოდიკა
2. სპორტი
დოქტორანტურა
1.განათლება
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამები
1.ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგი მე-5 საფეხური
2.თექის ოსტატი მე-3 საფეხური

ქართული უნივერსიტეტის ქუჩა № 1 (0350)27 2401, (0350)231100